ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.06.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/13

შეკითხვა:

მოქალაქე ადვოკატს მიმართავს მარტივი საკითხის თაობაზე კონსულტაციის მიღების მიზნით (მაგ. კლიენტს ხელთ აქვს ყველა საჭირო დოკუმენტი, იმისათვის რომ მოხდეს მიწის დაკანონება) და ადვოკატს სთხოვს დაეხმაროს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოპოვებაში. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს, თუ ამგვარ მარტივ საქმესთან დაკავშირებით გაუწევს კლიენტს მომსახურებას და აიღებს ჰონორარს, მაშინ როდესაც აღნიშნული მოქმედების განხორციელება კლიენტს თავადაც შეუძლია.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე...“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.“

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი დაუყოვნებლივ იწყებს კლიენტის კონსულტირებას, იწყება ადვოკატის მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში, მოქალაქემ მიმართა ადვოკატს დახმარებოდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების მოპოვებაში. ადვოკატის მიერ ამ საკითხზე კონსულტაციის გაწევის მომენტიდან დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. კერძოდ, ადვოკატის მიერ

დოკუმენტაციის შემოწმება და ინფორმაციის მიწოდება, იმის თაობაზე, რომ კლიენტს ყველა საჭირო დოკუმენტი აქვს და მარტივად შეძლებს მიწის დაკანონებას და განუმარტავს პროცედურებს თუ როგორ მოიპოვოს საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, წარმოადგენს ადვოკატის მიერ კონსულტაციის გაწევას. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ კონსულტაციასთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღება ურთიერთშეთანხმებული უნდა ყოფილიყო კლიენტთან, რაც არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა. ადვოკატმა კლიენტს წინასწარ უნდა აცნობოს, ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშების წესისა და გადახდის ვადების შესახებ, რაც მისაღები უნდა იყოს კლიენტისათვის.

დასკვნა:

თუ ადვოკატი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაუწევს კონსუტლაციას კლიენტს და დაეხმარება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებაში, რომლის განხორციელებაც კლიენტს თავადაც შეუძლია, ადვოკატის მიერ არ დაირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუ აღნიშნულ მომსახურებაში ჰონორარს აიღებს, იმ შემთხვევაში თუ საადვოკატო მომსახურების ოდენობის თაობაზე შეუთანხმდება კლიენტს.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.